დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ ქალაქ ჭიათურის N2 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: სახელი, გვარი
ბექარ კილასონია
წევრები:
ნათია მაწკეპლაძე
მედეა ქოქრაშვილი
ზურაბ მესხიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ქალაქ ჭიათურის N2 საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი:215606280

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 24 ივნისის №739586 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 9 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ ქალაქ ჭიათურის N2 საჯარო სკოლაში, (ქ. ზესტაფონი, სოფელი მეორე სვირის პირველი ქუჩა N46). დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის(1.1. კომპონენტი), გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის(3.1. კომპონენტი) , დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის(4.1. კომპონენტი) და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) 2.1., 2.2., 2.3.,2.4. კომპონენტები) კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია. ასევე ვიზიტის ფარგლებში დეტალურად განიხილა მისია ხედვა ღირებულებები, შესაბამისი ოქმები, გაზიარების მექანიზმები, შემოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, დაათვალიერდა პროგრამისთვის განსაზღვრული A, B-C გარემო, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2-156 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებთან, რამაც შესაძლებლობა მოგვცა საფუძვლიანად შეფასებულიყო პროგრამის ადმინისტრირების და განხორციელების პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ, კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში, რაც ხელს უწყობდა ვიზიტის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტს თან ახლდა დაწესებულების ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოჩენილი მაღალი დონის თანამშრომლობა, რამაც ხელი შეუწყო ვიზიტის ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

4.1.1.1. ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2025 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და უზრუნველყოს სტრუქტურის გადახედვა და თანამშრომელთა ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა.

4.1.1.2 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესრულება და დაწესებულების სტრუქტურის ჩამოყალიბება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ძირითადი საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელება.

4.1.1.3 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება და განახორციელოს ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა.

4.1.2.1 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის 31 მარტის ჩათვლით, უზრუნველყოს განახლებული ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება, შინაგანაწესის დოკუმენტის გადამუშავება.

2.2.1.1. ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში 2025 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით. ასევე დაწესებულებას 2025 წლის 2 ივნისს გაფორმებული აქვს ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის თანახმად სსიპ ქალაქ ჭიათურის №4 საჯარო სკოლასთან. „სსიპ ქალაქ ჭიათურის №4 საჯარო სკოლა“ „სსიპ ქალაქ ჭიათურის N2 საჯარო“ სკოლის პროფესიულ სტუდენტებს და სკოლის დარგობრივი სპეციალისტ ს(სპორტი) აძლევს უფლებას ორი წლის განმავლობაში სრულფასოვნად გამოიყენონ №4 საჯარო სკოლის სპორტდარბაზი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შესაბამისად რეკომენდიებულია დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ სწავლის დაწყებამდე დაადგინოს მოცემული სივრცის გამოყენების განრიგი, რომ უზრუნველყოფილ იქნას ინფრასტრუქტურის თანაბარი ხელმისაწვდომობა, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.2 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო პროგრამის შეუფერხებელად განხორციელებისა და მდგრადობისათვის დამატებით შესაბამისი კომპეტენციის პროფესიულ მასწავლებელთა მოძიება.

2.2.1.3 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლების ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება, საჭიროებისამებრ. ასევე დარგის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლისთვის CISCO სასერტიფიკაციო პროგრამა (ები) გავლა და შესაბამისი დამადასტურებელი სერთიფიკატის წარდგენა.

2.2.1.4 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის გავნითარება, მიზნობრივი სასწავლო კურსებისა და ტრენინგების ორგანიზებას, CISCO სასერტიფიკაციო პროგრამა (ები) გავლა, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით მენეჯერული და საგანმანათლებლო კომპეტენციების გაუმჯობესებას.

2.2.1.5 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის მობილიზება და განვითარება.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ეძლევა ზოგადი ხასიათის განმავითარებელი რეკომენდაცია, გადახედოს მარეგულირებელ დოკუმენტებს და გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც არ შეესაბამება დაწესებულების სპეციფიკას. ასევე დადგინდეს რა პერიოდში განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტები ლაბორატორიულ სივრცეში.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი და პროფესიული განათლების საფუძველზე დემოკრატიული ფასეულობების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე მოტივირებული თაობის აღზრდას, რომელიც მზად იქნება ადეკვატურად უპასუხოს თანამედროვე სამყაროს მრავალფეროვან გამოწვევებს. მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა უწყვეტი განათლების ხელშეწყობით, სკოლა ქმნის თანაბარი შესაძლებლობების საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მათი პროფესიული უნარების განვითარებასა და შრომის ბაზარზე ორიენტირებული კვალიფიციური კადრების მომზადებას. დაწესებულების მისია სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. კერძოდ, პროფესიულ სტუდენტებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაზე ორიენტირება, მათი კონკურენტუნარიანობის გაძლიერება და პრაქტიკულ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის განხორციელება.

ინდიკატორი 1.1.1.1. შესაბამისობაშია

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;

სსიპ ქალაქ ჭიათურის №2 საჯარო სკოლის მისია არის ლაკონურად, გასაგებად და მოტივირებულად ფორმულირებული, რაც განაპირობებს მის ეფექტიან კომუნიკაციას საგანმანათლებლო სივრცეში. მისიის ფორმულირებიდან მკაფიოდ იკვეთება სასწავლებლის ძირითადი პროფილი- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც პარალელურად ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რაც აღრმავებს მისი მრავალფუნქციური საგანმანათლებლო დანიშნულების წარმოდგენას. დაწესებულების მისია ხაზგასმით მიუთითებს სკოლის როლზე, როგორც იმ სივრცეზე, რომელიც ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული განათლება. სკოლის მიზანია უზრუნველყოს მოსწავლეთა და პროფესიული სტუდენტების პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს მათი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გამოვლენასა და გაძლიერებას კონკურენტულ გარემოში წარმატების მისაღწევად. მისიიდან გამომდინარეობს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, რაც გულისხმობს არა მხოლოდ საგანმანათლებლო კურიკულუმის განვითარებას, არამედ სტუდენტთა იმ პიროვნული ფასეულობების ჩამოყალიბებასაც, რომლებიც საჭირო ხდება თანამედროვე საზოგადოებაში ეფექტიანი ინტეგრაციისთვის. ამგვარად, სკოლის მისია სრულად პასუხობს ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზნებს აღზარდოს მოტივირებული, თვითრეალიზაციის უნარის მქონე თაობა, რომელიც წარმატებით დაძლევს შრომის ბაზრის გამოწვევებს და წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 1.1.1.2. შესაბამისობაშია

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

სკოლის მისიის საფუძველზე ჩამოყალიბებულია მისი ხედვა და ღირებულებები, რომლებიც თავსებადია მისით განსაზღვრულ პრინციპებთან და ასახავს დაწესებულების ძირითად მიმართულებებსა და მიზნებს. დაწესებულების ხედვაა: სკოლა იმოძრავებს განვითარების გზით, რათა გახდეს რჩეული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ეფუძნება მაღალი კონკურენტუნარიანობის, აკადემიური წარმატების და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნის პრინციპებს. სკოლა მიზნად ისახავს ისეთი საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებას, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო და მასტიმულირებელ გარემოს ყველა მოსწავლისთვის/სტუდენტისთვის, რაც ხელს შეუწყობს მათი პოტენციალის სრულ რეალიზაციას. სკოლის საერთო კულტურა და ღირებულებები განსაზღვრავს იმ მორალურ და პროფესიულ პრინციპებს, რომლებიც წარმართავს დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობას და განსაზღვრავს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ეთიკურ სტანდარტებს. სკოლის ძირითადი ღირებულებებია:

- გუნდური მუშაობა - თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე ერთიანი მიზნისკენ მიმართული კოლექტიური ძალისხმევა;
- პროფესიონალიზმი - ხარისხზე ორიენტირებული, პასუხისმგებლობით და ეთიკით გამსჭვალული საქმიანობა;
- ღიაობა - მზადყოფნა იდეების გაზიარებისა და ახალი ინიციატივების მიღებისთვის, თანამედროვე ტენდენციებისადმი გახსნილობა;
- თანასწორობის დაცვა - ყველა მოსწავლისა და თანამშრომლისთვის თანაბარი შესაძლებლობებისა და სამართლიანი გარემოს უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული ხედვა და ღირებულებები უზრუნველყოფს სკოლის მისიის ეფექტიან რეალიზაციას და ქმნის მდგრადი განვითარების მყარ საფუძველს, რაც საბოლოო მიზნად ისახავს მოსწავლეებისა და პროფესიული სტუდენტების განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მათი წარმატებული სოციალური ინტეგრაციის მხარდაჭერა.

ინდიკატორი 1.1.1.3 შესაბამისობაშია

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სსიპ ქალაქ ჭიათურის №2 საჯარო სკოლაში მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტების შემუშავება განხორციელდა ინკლუზიური და თანამონაწილეობითი პროცესის საფუძველზე. პროცესში აქტიურად იყო ჩართული სკოლის მთელი საზოგადოება, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტების ლეგიტიმურობასა და პრაქტიკულ რეალიზებას. გასაუბრების დს დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დგინდება, რომ სამუშაო ჯგუფმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალის წარმომადგენლებით, განახორციელა მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვა და საჭიროებისამებრ ცვლილებების ინიცირება. შემუშავებული დოკუმენტის სამუშაო ვერსია განხილული და გაზიარებული იქნა პედაგოგიურ საბჭოსა და სამეურვეო საბჭოზე. აღნიშნულ საბჭოებში, სკოლის მართვის მოდელის შესაბამისად, წარმოდგენილი არიან არა მხოლოდ პედაგოგები, არამედ მშობლები და მოსწავლეები, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობას და დოკუმენტის შინაარსის ფართო მხარდაჭერას. მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სკოლის სტრატეგიული განვითარების საყრდენ ღერძს და სრულ შესაბამისობაშია სასკოლო საზოგადოების ხედვასთან. მათი საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, დოკუმენტები განთავსებულია სკოლის ოფიციალურ, სოციალურ მედია პლატფორმებზე და გამოკრულია სასწავლო კორპუსის თვალსაჩინო ადგილზე. აღნიშნული მიდგომა ემსახურება ინფორმირებულობის, გამჭვირვალობისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანგარიშვალდებულების პრინციპების განმტკიცებას, რაც წარმოადგენს განათლების თანამედროვე მმართველობითი მოდელის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტს.

ინდიკატორი 1.1.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- ვებ გვერდზე განთავსებული მისიის, ხედვისა და ღირებულებები განთავსებული შესაბამის ვებ გვერდზე.
- სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა - მისია, ხედვა, ღირებულებების ნაწილი
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2- 151 ბრძანება შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შესახებ;
- სკოლის მისია, რომელიც განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და სკოლის შემოსასვლელ ფოიეში.
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- პედსაბჭოს ოქმი სამეურვეო საბჭოს ოქმი
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N2 10.06.2025
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის № 2-153 ბრძანებით, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი რეგულაციები კერძოდ: პროფესიული სტუდენტის უფლებები, სადაც დეტალურადაა ჩამოყალიბებული პროფესიული სტუდენტის უფლებები, ვალდებულებები და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება, რომელშიც აღწერილია საკანონმდებლო მოთხოვნებით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის უფლებები, მათ შორის ისეთი უფლებები, როგორიცაა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის პროცედურები და მექანიზმები (32,33,34 მუხლები), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი(მე-8 მუხლი), პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის კომპონენტის გავლა ინდივიდუალურ რეჟიმში, სწავლის შედეგების შეფასება და კვალიფიკაციის მინიჭების წესი (მუხლი 39 და 40), ასევე, დაწესებულების დანართი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“, სწავლის შედეგების შეფასების აპელაციის პროცედურები (39.17 მუხლები) ასევე დაწესებულებაში განსაზღვრულია აპლიკანტთა რეგისტრაციის, შერჩევის, ინფორმირების, გასაუბრების, საკონკურსო კომისიის შექმნის, ტესტირების/გასაუბრების შედეგების აპელაციის პროცედურები, ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის ეტაპობრივი პროცედურები. დოკუმენტაციის განხილვისა შედეგად დგინდება, რომ აღნიშნული საკითხი ასახულია როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში, ასევე პროფესიულ სტუდენტსა და საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის გასაფორმებელ სასწავლო ხელშეკრულებაში. ორივე დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფესიული სტუდენტის ფუნდამენტურ უფლებას მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება. აღნიშნული უფლება წარმოადგენს პროფესიული განათლების სისტემის ძირითად პრინციპს და გულისხმობს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას, საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისი რესურსების გამოყენებას და სწავლების პროცესში სამართლიან, გამჭვირვალე და ეფექტურ მონაწილეობას.

ინდიკატორი 3.1.1.1 შესაბამისობაშია

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ეფუძნება სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის №2-153 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებას, რომლის შესაბამისადაც განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება სასწავლო პროცესის დაწყებამდე. აღნიშნული შეხვედრების მიზანია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათი უფლებების, მოვალეობებისა და კანონიერი ინტერესების შესახებ. სწავლის დაწყებისთანავე, პროფესიულ სტუდენტებს შეხვედრას უერთდებიან სკოლის დირექტორი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები. ისინი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებს აცნობებენ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედ შიდა რეგულაციებს, პროცესების მართულობის პრინციპებსა და საგანმანათლებლო გარემოს მახასიათებლებს. გარდა ამისა, პროფესიულ სტუდენტსა და სკოლას შორის ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები. ხელშეკრულების ხელმოწერით სტუდენტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებს, რომ ეცნო და ცნობიერად იღებს პასუხისმგებლობას დებულებით გათვალისწინებული წესების შესრულებაზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალე, უსაფრთხო და სამართლებრივად დასაბუთებულ სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი 3.1.1.2 შესაბამისობაშია

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის №2-153 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ მოიცავს მნიშვნელოვან რეგულაციებს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად სასწავლო პროცესში. დებულების თანახმად, პროფესიულ სტუდენტებს სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ, მათ შორის გათვალისწინებულია უფლება შეფასების შედეგების გასაჩივრებაზე, რაც ასახავს ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს - გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. გარდა ამისა, დოკუმენტი ადგენს პროფესიულ სტუდენტებთან გაერთიანებული შეხვედრების ჩატარების მოთხოვნას, რაც ჰგანხორციელდება სემესტრში არანაკლებ ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი, რიგგარეშე შეხვედრების ორგანიზება იმ პერიოდულობით, რაც აუცილებელია სტუდენტების ინტერესების დაცვასა და ინფორმირებულობის უზრუნველყოფისთვის. შეხვედრების მიზანია სტუდენტებისთვის თავიანთი უფლებებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებლობების დეტალური გაცნობა, ასევე სწავლების პროცესში არსებული საკითხების განხილვა. დებულებით ასევე გათვალისწინებულია კონსულტაციების სისტემური ორგანიზება როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან, ისე სხვა პასუხისმგებელ პირებთან. ეს ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერას ინდივიდუალურ საგანმანათლებლო მარშრუტში. გარდა ამისა, დოკუმენტი ავალდებულებს პროფესიულ მასწავლებლებს უზრუნველყონ სტუდენტებთან კონსულტაცია, მათ შორის შეფასების სისტემის დეტალებზე. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების შედეგების განმეორებითი დადასტურება, რაც კიდევ უფრო ამყარებს სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. საერთო ჯამში, დებულება ქმნის მტკიცე საფუძველს პროფესიულ სტუდენტებთან უწყვეტი და ღია კომუნიკაციისთვის, რაც მნიშვნელოვანია მათი აკადემიური წინსვლისა და უფლებების დაცვისთვის.

ინდიკატორი 3.1.1.3 შესაბამისობაშია

4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის №2-153 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, მათ შორის მისი მუხლი 22, ასახავს პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების დეტალურ მექანიზმს. დებულება განსაზღვრავს ხელშეკრულების არსებით პირობებს, გაფორმების პროცედურასა და მხარეთა უფლებრივ-ვალდებულებრივ ურთიერთობას. კერძოდ, პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ხელშეკრულების საგანს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას, რომელზეც პროფესიული სტუდენტი არის ჩარიცხული, მხარეთა (დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის) უფლებებსა და ვალდებულებებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას, ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებსა და წესებს, დამატებით დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების ეფექტურ მართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგენილია, რომ ხელშეკრულებას ხელს აწერს: დაწესებულების დირექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, არასრულწლოვანი ან შშმ/სსსმ სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი. გარდა ამისა, დებულება განსაზღვრავს ხელშეკრულების ნიმუშების სტანდარტიზაციას, რაც გულისხმობს, რომ როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი სტუდენტისთვის განკუთვნილი ხელშეკრულების ფორმა შესაბამისობაშია დებულებით დადგენილ მოთხოვნებთან და იურიდიულად იცავს პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ექსპერტთა მხრიდან დოკუმენტაციის შესწავლით და გასაუბრების შედეგად დასტურდება აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, სამართლებრივ დაცულობასა და პროფესიული განათლების მიღების პროცესში ჩართული სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის ადმინისტრაციულ მომსახურებას.

ინდიკატორი 3.1.1.4 შესაბამისობაშია

5.დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის №2-153 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს, რომელიც მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა კომპონენტს. დებულების მე-29 თავი ეთმობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საკითხებს, სადაც გაწერილია როგორც ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საფუძვლები, ასევე მისი შემუშავებისა და დამტკიცების მექანიზმები. დადგენილია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება პროფესიული სტუდენტის მონაწილეობით. ინდივიდუალური გეგმის პროექტი განიხილება და თანხმდება უშუალოდ იმ პროფესიულ სტუდენტთან (ან, საჭიროების შემთხვევაში, მის კანონიერ წარმომადგენელთან), ვისთვისაც მუშავდება აღნიშნული გეგმა. შეთანხმების შედეგად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დამტკიცდება შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის თანდართვით. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტსა და დაწესებულებას შორის ვერ მოხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ შეთანხმება, პროფესიულ სტუდენტს უჩერდება სტუდენტის სტატუსი და ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობის მექანიზმებით, საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა დოკუმენტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.1.5 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის ბრძანება N 2-153 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ
- ზსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუშები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმი.
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2-153 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი „პროფესიული პროგრამის პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროფესიული განათლების კოორდინატორის, პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და რეესტრის მართვის მენეჯერის ფუნქციებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და პიროვნული უნარების ჩამონათვალს. პროფესიულ განათლებაზე ორიენტირებული გარემოს გასაუმჯობესებლად დაწესებულება გეგმავს მიმდინარე პროცესების შესაბამისად განაახლოს არსებული თანამშრომლების ფუნქციები და მოვალეობები, შესაბამისად დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2-156 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია: პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განაწილება თანამშრომლეთა ჩართულობით/გაცნობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფა ორგანიზაციან უნდა უზრუნველყოს 2025 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, ასევე დოკუმენტში ნათლადაა მითითებული არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად პასუხისმგებელი პირები და რესურსები.

ინდიკატორი 4.1.1.1 ნაწილობრივ შეესაბამება

2.დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2 - 153 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიული პროგრამის პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები'', რომელშიც გაწერილია თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დოკუმენტებით განსაზღვრული ფუქცია-მოვალეობები არ დუბლირდება სხვადასხვა პოზიციის/იერარქიის პირებზე. ასევე სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ცხადჰყოფს, რომ დაწესებულებაში ფუნქციებისა და პასუხიმგებლობის ეფექტური გადანაწილება ხელს უწყობს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. თუმცა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესის სრულყოფის მიზნით სკოლა გეგმავს გადაიხედოს პერსონალის სამუშაო აღწერილობები და დაემატოს ისეთი პერსონალი, რომელიც ამჟამად არ არის წარმოდგენილი აღნიშნულ დოკუმენტში. ვინაიდან ამ ეტაპზე აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. შესაბამისად დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2-156 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია: ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა ორგანიზაციან უნდა უზრუნველყოს 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, ასევე დოკუმენტში ნათლადაა მითითებული არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად პასუხისმგებელი პირები და რესურსები.

ინდიკატორი 4.1.1.2 ნაწილობრივ შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის №2-153 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში **„პროფესიული პროგრამის პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“** - განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის როლები, მოვალეობები და მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები.მოცემული დოკუმენტით, **ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის** ძირითადი მიზანია დაწესებულებაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების, გამოყენებული სწავლების მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის განვითარების ხარისხის სისტემური მონიტორინგი, ანალიზი და გაუმჯობესების ხელშეწყობა. **ხარისხის მართვის მენეჯერის** ფუნქციური აღწერილობა მოიცავს:

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების მექანიზმების დანერგვასა და გაუმჯობესებას;
- სწავლების შედეგების საფუძვლიან ანალიზს;
- შიდა მონიტორინგისა და აუდიტის დაგეგმვასა და შესრულებას;
- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მართვის დოკუმენტაციის წარმოებას;
- საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერას;
- ხარისხთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე რეაგირების უზრუნველყოფას.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები მკაფიოდ არის გამოყოფილი სხვა ადმინისტრაციული ან აკადემიური პოზიციებისაგან, რაც **გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს**. იგი არ ფლობს ისეთ დამატებით პასუხისმგებლობებს, რომლებიც შესაძლებელია შეუსაბამო იყოს ხარისხის ობიექტური შეფასებისა და კონტროლის პროცესებისთვის. აღნიშნული მიდგომა ემსახურება ხარისხის მართვის ეფექტიანობას და უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებას, რაც პირდაპირ თანხვედრაშია სკოლის მისიისა და სტრატეგიული განვითარების მიზნებთან. მოცემული ეტაპისათის დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირს არ აქვს შესაბამის გამოცდილება და სრული კომპეტენცია ხარისხის მენეჯერის ფუნქცია მოვალეობების შესასრულებლად. შესაბამისად დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2-156 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია: ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა ორგანიზაციან უნდა უზრუნველყოს 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, ასევე დოკუმენტში ნათლადაა მითითებული არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად პასუხისმგებელი პირები და რესურსები.

ინდიკატორი 4.1.1.3 ნაწილობრივ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2- 153. ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული პროგრამის პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N N 2-153 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N 2-46 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი;
- დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2-156 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის № 2-153 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალის მართვის ძირითად პრინციპებს, შერჩევის პროცედურებს, კონკურსების ჩატარების წესებს, თანამშრომლების დაწესებულებაში ინტეგრაციის მექანიზმს, ასევე პერსონალის შეფასებისა და წახალისების პროცედურებსა და მეთოდოლოგიას. სკოლის პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის მიზანია, ფორმალიზებული მიდგომებისა და სტანდარტული პროცედურების უზრუნველყოფით, ეფექტიანად წარმართოს პერსონალის მართვის პროცესი და დაიცვას კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები. აღნიშნული პოლიტიკა უზრუნველყოფს სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულებს საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფილად გამოხატვას და პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარებას. დირექტორის 2025 წლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2-156 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა სადაც გაწერილია: განახლებული ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება, ინაგანაწესის დოკუმენტის გადამუშავება, ორგანიზაციამ შესაბამისი ცვლილებების ასახვა უნდა უზრუნველყოს 2026 წლის 31 მარტის ჩათვლით, ასევე დოკუმენტში ნათლადაა მითითებული არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად პასუხისმგებელი პირები და რესურსები.

ინდიკატორი 4.1.2.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა რეგულაციებით, მათ შორის, სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის № 2-153 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკით“. ახალი თანამშრომლის აყვანისას, სამუშაოს დაწყების მსურველის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაფასებლად, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს შესარჩევი მეთოდიკის ფართო სპექტრი, როგორიცაა გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა შესაბამისი ფორმები. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს მოთხოვნის დაკმაყოფილებას როგორც არსებული საკადრო რესურსიდან, ასევე ღია კონკურსის გამოცხადებით.

ინდიკატორი 4.1.2.2 შესაბამისობაშია

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის № 2-153 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული პროგრამის პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული პერსონალის დაკომპლექტებისათვის აუცილებელ სავალდებულო და გარკვეულ შემთხვევებში, სასურველ კრიტერიუმებს. დაწესებულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრულია მინიმალური განათლების დონე, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სასურველი პროფილის დამატებითი მოთხოვნები, როგორიცაა შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენის ცოდნა და პოზიციის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ცოდნა. აღნიშნული მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია პოზიციებისა და ფუნქცია-მოვალეობების ჩამონათვალთან. ყველა დასაქმებული პირი აკმაყოფილებს დასახულ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რაც დამტკიცებულია მათი პირადი საქმის შესაბამისი დოკუმენტაციით. პერსონალის პირადი საქმეების დეტალური ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკავებულ თანამდებობებს.

ინდიკატორი 4.1.2.3 შესაბამისობაშია

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის № 2-153 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ დოკუმენტის საფუძველზე, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს. პერსონალის მართვის პოლიტიკის ძირითადი ამოცანებია ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებისა და გაძლიერების ხელშეწყობა, ასევე პერსონალის გაერთიანება საერთო მიზნებისა და ღირებულებების გარშემო. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრები, რაც ხელს უწყობს კოლეგიალურ პრინციპებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას. დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა კიდევ უფრო ნათლად აჩენს, რომ მიმდინარე პროცესები ხორციელდება კოლეგიალური მუშაობის პრინციპების შესაბამისად. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გუნდურ მუშაობას, რასაც კარგად წარმოაჩენს სკოლაში შემუშავებული სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, რომლებიც შექმნილი და პერიოდულად განახლებული იქნა თანამშრომელთა გუნდის თანხმობით და აქტიური მონაწილეობით

ინდიკატორი 4.1.2.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- სკოლის დირექტორის 202 5 წლის 13 მაისის N 2 -46 ბრძანება შექმნილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- დირექტორის 11 ივნისის N 2 - 153 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული პროგრამის პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულების შინაგანაწესი
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა).

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელები და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში; Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems;
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სკოლის დირექტორის 2025 წლის 11ივნისის ბრძანება N 2- 154 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ჭიათურა ტოლსტოის ქ. #4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	----------
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40 (მთლიანი ქვოტა) პროფესიული სტუდენტი
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	40 (მთლიანი ქვოტა) პროფესიული სტუდენტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117 კრედიტი

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სკოლის მისიით, ხედვითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულია საქმიანობა პროფესიული განათლების მიმართულებით. დაწესებულების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, მოთხოვნად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, სკოლის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული მიზანია პროფესიული და უწყვეტი განათლების მიწოდება, რაც ემსახურება კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და პროგრესულად მოაზროვნე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კადრების აღზრდას ადგილობრივი და ეროვნული შრომის ბაზრის საჭიროებების საპასუხოდ. ამ კონტექსტში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სრულად შესაბამისობაშია სკოლის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან. პროგრამა მიზნად ისახავს ტექნოლოგიური უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადებას, რაც თანამედროვე ეკონომიკისა და დიგიტალიზაციის ტენდენციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი აქტივია. საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების პროფესიის დაუფლების შესაძლებლობას. შესაბამისად, აღნიშნულ მიმართულებაზე არსებული მოთხოვნა რეგიონში მნიშვნელოვნად აღემატება მომწოდებელ რესურსებს, რაც ზრდის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრებზე მოთხოვნის მაჩვენებელს.

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტიკიბეულია დირექტორის 2025 წლის 6 ივნისის ბრძანება N 2- 149 ბრძანებით, სადაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და საშუალო განათლების 10 კლასის განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ შესაძლებელია პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო საგანმანათლებლო სტანდარტთან.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის ბრძანება N 2- 157 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი, რომელიც ითვალისწინებს მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A,B და C) გარემო შესაძლებლობებს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსებს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად. დასაბუთების შესაბამისად კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა 20 სტუდენტს ერთ ცვლაში (ზღვრითი რაოდენობა - ქვოტა 40 სტუდენტი ორ ცვლაში). წარმოდგენილი დოკუმენტის ანალიზით დასტურდება, რომ კოლეჯი პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც სრულ თანხვედრაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსთან. მათ შორის ინტეგრირებული მოდულებისთვის დამტკიცებული საგანმანათლებლო რესურსებიც სრულ შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 19 აგვისტოს 170/ნ ბრძანებით დამტიცებული ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობების ჩამონათვალთან. შესაბამისად, საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულს

ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული დანართი N1-ის ,,საჯარო სკოლის წესდების" მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 6 ივნისის ბრძანება N 2- 149 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები".

ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ,,კომპიუტერული ქსელები და სისტემები" სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებებს. იგი ეფუძნება პროგრამის სტრუქტურულ ერთეულებს - მოდულების თემატიკასა და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. პროგრამის სახელწოდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთმნიშვნელოვანია, შინაარსობრივად განზოგადებული და არ არის შეცდომაში შემყვანი, რაც უზრუნველყოფს მისი არსის ადეკვატურ აღქმას როგორც პროფესიული სტუდენტების, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება უნარი და კომპეტენცია:

- უზრუნველყოს პერსონალური კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული და პროგრამული მხარდაჭერა;
- იმუშაოს მობილურ და ლინუქს ოპერაციულ სისტემებთან;
- დაამონტაჟოს და გამართოს მცირე და საშუალო ზომის კომპიუტერული ქსელი;
- დაამონტაჟოს და გამართოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები;
- გამართოს ბაზისურად კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგია;
- უზრუნველყოს კომპიუტერულ ქსელებში ბაზისური კომუტაცია და მარშუტიზაცია;
- გამართოს ბაზისურად VOIP ტელეფონია;
- გამართოს ბაზისურად Windows სერვერული ოპერაციული სისტემის და ქსელური სერვისები;
- გამართოს ბაზისურად Linux სერვერული ოპერაციული სისტემა;
- გამართოს ბაზისურად სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგია;
- გამოიყენოს Cloud პლატფორმები;
- უზრუნველყოს კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში გაუმართაობების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა.

აღნიშნული სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია როგორც პროგრამის სახელწოდებასთან, ისე მის მიზნებთან, შინაარსთან და კომპეტენციური მოდელით გათვალისწინებულ მოლოდინებთან.

ინდიკატორი 2.1.1.7. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სარეგისტრაციო ნომერი 06.2.1 სრულად ითვალისწინებს დადგენილ მოთხოვნებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დეტალურად განსაზღვრავს მის ძირითად სტრუქტურულ და შინაარსობრივ ელემენტებს. კონკრეტულად, პროგრამაში მკაფიოდ ფორმულირებულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების სისტემისა და მიდგომების ძირითადი პრინციპები, ასევე პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა. გარდა ამისა, პროგრამაში გაწერილია სწავლების მეთოდოლოგიური მიდგომები და პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრირებულ განხორციელებას. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სრულად ჩამოყალიბებულ სასწავლო გეგმას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის კომპლექსურ, სტრუქტურულად დამუშავებულ და სისტემატურ სახეს. აღნიშნული მიდგომა იძლევა პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისა და მის მიზნებთან შესაბამისობის საფუძველს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული მისია და სტრატეგიული გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი დანართი N2;
- დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის 2-153 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება
- დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N2-157 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები" შედეგები მიიღწევა დაწესებულების A, B და C ტიპის სასწავლო გარემოში, დაწესებულების ბაზაბე არსებული მატერიალური რესურსით. თუმცა, პროგრამის განხორციელებისთვის მატერიალური რესურსი სრულად არ არის შეძენილი. დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2-156 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა შესაბამისად დაწესებულება ვალდებულია 2025 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უზრუნველყოს არსებული ინდიკატორის სრულ შესაბამისობაში მოყვანა. პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის ფარგლებში თავდაპირველად წარმოდგენილი აუდიტორიები განლაგებული იყო შენობის პირველ სართულზე. 2025 წლის 10 ივლისის ს.ს.ი.პ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გამოგზავნილ წერილში (N643621) ნათქვამია, რომ პირველ სართულზე არსებულ სასკოლო ოთახში სასწავლო პროცესი დაუშვებელია. მოცემული სართულის ქვეშ არსებობს სარდაფის სივრცე. სკოლის შენობის საფრთხის შემცვლელ დაზიანებად ითვლება ძველი ნაკვეთურის სარდაფში ხის გადახურვის მზიდი კოჭების დაზიანება. შესაბამიდად დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა ალტერნატიული ფართი (B-C) , რომელიც სხვა ფლიგელში მდებარეობს. არსებული ფართები იძლევა შესაძლებლობას უზრუნველყოფილ იქნეს მოცემული პროგრამის განხორციელება 20 პროფესიულ სტუდენტზე. ასევე პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა მოიცავს ,,სპორტის" ინტეგრირებულ მოდულს დაეწესებულებას არჩეული აქვს კალათბურთისა და ფრენბურთის მიმართულება. ვიზუალური დათვალიერების და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: შენობაში არსებული სპორტული დარბაზი ავარიულმდგომარეობაშია. სსიპ ქალაქ ჭიათურის №2 საჯარო სკოლას აქვს აქტიური კომუნიკაცია განათლებისა და მეცნიერების სფეროში ინფრასტრუქტურული განვითარების პროცესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმახორციელებელ შესაბამის უწყებებთან. კერძოდ, დაწესებულებამ წარადგინა 2025 წლის 11 აპრილს, სკოლის დირექტორის მიერ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის გაგზავნილი წერილი (№403418) სადაც საუბარია არსებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობის შეფასების თხოვნაზე. აღნიშნული მიმართვის საფუძველზე, 2025 წლის 10 მაისს, სააგენტოს მიერ განხორციელდა შესაბამისი ვიზუალური დათვალიერება, რომლის შედეგები ასახულია ოფიციალურ დოკუმენტში (№643621). დათვალიერების შედეგად დაფიქსირდა, რომ სკოლის არსებული ინფრასტრუქტურა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სასწავლო გარემოს მოთხოვნებს და საჭიროა შენობის რეაბილიტაციას. ამ ეტაპისათს დაწესებულება არ ფლობს ზუსტ ინფორმაცვიას რა ვადაშია შესაძლებელი არსებული პრობლემის სრულად მოგვარება. მართალია დაწესებულებას ამავდროულად აქვს ღია სპორტული მოედანი, თუმც ,,სპორტის" ინტეგრირებულ მოდულის სრულად განხორციელება დაწესებულებაში შეუძლებელია. აქვე უნდა აღინშინოს ის გარემოებაც, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოგვდგინდა მოცემული პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზა კერძოდ: დაწესებულებას 2025 წლის 2 ივნისს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ქალაქ ჭიათურის №4 საჯარო სკოლასთან. მემორანდუმის ფარგლებში, სკოლის პროფესიულ სტუდენტებსა და მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ორი წლის განმავლობაში სრულფასოვნად გამოიყენონ №4 საჯარო სკოლის სპორტდარბაზი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აღნიშნულლი პერიოდის განმავლობაში დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების უსაფრთხო გადაადგილებას და პროგრამა სპორტის განხორციელების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრა ს.ს.ი.პ ქალაქ ჭიათურის N2 საჯარო სკოლის დარგობრივი სპეციალისტი (სპორტი). აღნიშნული თანამშრომლობა პასუხობს პროფესიული მოდულების იმ კომპონენტების განხორციელების მოთხოვნებს, რომელთა წარმატებული რეალიზაციისთვის აუცილებელია ფიზიკური აქტივობების სივრცე და შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფრასტრუქტურა. ამ ყველაფრის ფომზე რეკომენდიებულია დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ დაადგინოს განრიგი, რომ უზრუნველყოფილ იქნას ინფრასტრუქტურის თანაბარი ხელმისაწვდომობა, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის.

ინდიკატორი 2.2.1.1.მეტწილად შესაბამისია

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 11 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 1 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახოციელებს პროფესიულ მოდულებს, ხოლო 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად და ზოგად ინტეგრირებულს. ყველა პირთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში თანამშრომლობის თაობაზე. მათი კვირეული დატვირთვა მხოლოდ 1 ჯგუფის მიღების შემთხვევაში არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისიწინებულ ზღვრულ დატვირთვას. დაწესბულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე. შესაბამისად დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2-156 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. დაწესებულება ვალდებულია 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით უზრუნველყოს არსებული ინდიკატორის სრულ შესაბამისობაში მოყვანა.

ინდიკატორი 2.2.1.2. მეტწილად შესაბამისია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის დროს ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხილული იქნა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირადი საქმეების შესწავლით გამოვლინდა, რომ დარგობრივი მოდულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებელიის პროფესიული გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების ფორმირებას და შეესაბამება მოცემული სკავალიფიაციო მოთხოვნებს, თუმცა არ აქვს პროფესიულ მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება. ასევე ზოგადი და ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს არ აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება, შესაბამისად, გააჩნია კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების უნარები. ყველა მათგანთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი პედაგოგებიდან, მათი ცოდნა და კომპეტენცია მათ მიერ განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით, დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. ასევე დარგის მასწავლებლისთვის რეკომენდირებულია CISCO -ს სერტიფიციტების გავლა. შესაბამისად დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2-156 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. დაწესებულება ვალდებულია 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით უზრუნველყოს არსებული ინდიკატორის სრულ შესაბამისობაში მოყვანა.

ინდიკატორი 2.2.1.3. მეტწილად შესაბამისია

4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის, მქონე ხელმძღვანელი, რომელთა კომპეტენციაც დასტურდება პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე, ასვე შესაბამისი სერტიფიკატებითა და სამუშაო გამოცდილებით. თუმცა პროფესიულ მასწავლებლის/პროგრამის ხელმძღვანელის კუთხით გამოცდილება არ აქვს. ასევე არ ფლობს CISCO -ს სერტიფიკატებს. პროგრამის სრულფასოვნად გაძღოლისათის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდირებულია CISCO -ს სასერთიფიკატო პროგრამების გავლა. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, ჩერთოს ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებში, ასევე კოორდინაციას გაუწიოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების საქმიანობას, პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაცია მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. შესაბამისად დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2-156 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. დაწესებულება ვალდებულია 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით უზრუნველყოს არსებული ინდიკატორის სრულ შესაბამისობაში მოყვანა.

ინდიკატორი 2.2.1.4. მეტწილად შესაბამისია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის. ამ ეტაპისათის დაწესებულება სრულად არ ფლობს პროგრამის სრულფასოვნად განხოციელებისათვს საჭირო საგანმანათლებლო რესუსრს, შესაბამისად დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2-156 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. დაწესებულება ვალდებულია 2025 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით უზრუნველყოს არსებული ინდიკატორის სრულ შესაბამისობაში მოყვანა.

ინდიკატორი 2.2.1.5. მეტწილად შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6 . სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის №2-153 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომელშიც გაწერილია **მუხლი 29** - პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზება და კონსულტაციები, **მუხლი 30** - სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, **მუხლი 31** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის გავლა ინდივიუალურ რეჟიმში, **მუხლი 63** - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები, **მული 64** - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და დამტკიცება. სსსმ სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება, სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა, ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსი, მასალა და ნედლეული

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან. ბიუჯეტის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა შეადგენს 8. ამ რაოდენობის შემთხვევაში შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების სია დანართი N1;
- საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსები დანართი N2;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი დანართი N3;
- ერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;

სკოლის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე. სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2- 153 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარების და გაუქმების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით, დაწესებულება პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს გამოიყენებს პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, პრაქტიკის ობიექტის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე დაწესებულება რეგულარულად განახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. პროგრამის შეფასებისთვის სკოლაში შემუშავებულია კითხვარები:

- ✓ სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანკეტა;
- ✓ მოდულის და პროგრამის შეფასების კითხვარი;
- ✓ მასწავლებლების შეფასება სტუდენტის მიერ;
- ✓ კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი;
- ✓ ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი.

ასევე, სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2-153 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N 2- 153 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების თანახმად, პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ, ჯგუფურ ან გაერთიანებულ შეხვედრებს ახორციელებს პროფესილი განათლების კოორდინატორი და განსახილველი საკითხის შინაარსის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამისი პერსონალის ჩართულობას. ასევე, სკოლაში ხარისხის პროცესი ციკლური ხასიათისაა. კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. კურსდამრთავრებულთა კვლევის შედეგები გამოყენებულია პროგრამების შემდგომი განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნით.ზემოთაღნიშნული პროცესების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი თანამშრომლობს სკოლის ყველა თანამშრომელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/ ინსტრუქტორებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და სხვა დაწესებულება პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით სისტემატიურად განახორციელებს შეხვედრებს, სადაც მოხდება გამოცდილების გაზიარება და პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება. პროგრამის განვითრების პროცესში გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა პარამეტრები: რესურსის ცვლილება,სტანდარტის ცვლილება, მიღწეული შედეგების ანალიზი და სხვა.

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ❖ სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N 2- 43 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი დანართები;
  - ❖ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
  - ❖ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მარეგულირებელი დებულება;
  - ❖ შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია;
- ○ გასაუბრების შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ვკომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შედგენილია სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მოდულების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული ლოგიკური წინაპირობები, დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის, პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40სთ-ს. სასწავლო გეგმით დაცულია ინტეგრირებული პროგრამების სპეციფიკურობა. სასწავლო გეგმა გაწერილია ორ წელზე. მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია კალენდარული გეგმის შემუშავების აუცილებლობა.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ჭიათურა, სოფელი წირქვალი საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 მაისს №2-41 ბრძანებით დამტკიცებულია პროგრამების განხორციელების დებულება. დებულება აერთიანებს:

- . სასწავლო პროცესის დაგეგმვის ძირითადი ეტაპები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცედურები;
- სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები;
- პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზება და კონსულტაციები;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
- პროფესიულ სტუდენტთა გადასვლა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით(გარე მობილობა;
- პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით;
- პროფესიულ სტუდენტთა შიდა მობილობა;
- პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება;
- კვალიფიკაციის მინიჭება;
- პროფესიული დიპლომის გაცემის პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დებულების შესაბამისად პროფრსიული სტუდენტების ინტერესები დაცულია, უზრუნველყოფილია ეფექტური სასწავლო გარემო. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მონიტორინგის მექანიზმები, ინდივიდუალური გეგმების შედგენის პროცედურა, ვერიფიკაციისა და ინტეგრირებული მოდულების შეფასების მექანიზმები. ავტორიზაციის პროცედურის ფარგლებში ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული რეგულაციის დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან, რაც მიზნად ისახავდა პრაქტიკაში რეგულაციის ეფექტიანად განხორციელების დადასტურებას. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდნენ ადმინისტრაციას, საიდანაც მათ ექნებათ სწრაფი და ადეკვატური უკუკავშირი შესაძლებლობა.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიასა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებაზე. სასწავლო მოდულები მოიცავს სწავლების მეთოდების დეტალურ აღწერას, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობასა და პრაქტიკულ ორიენტაციას. დარგობრივი ტექნოლოგიების გამოყენება ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა მეშვეობით, რომლებიც აქტიურად უნდა გაეცნონ სფეროში არსებულ სიახლეებს, სასწავლო მასალებს და გამოიყენონ ყოველდღიურ სასწავლო პრაქტიკაში. ეს ხელს უწყობს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას და პროფესიული განათლების სისტემის უწყვეტ განახლებას. შესაბამისად სტუდენტებს ექნებათ ინდივიდუალური წვდომა საგანმანათლებლო მასალებთან , კომპიუტერებთნ ასევე მოცემული დარგის შესაბამის კომპიუტერულ პროგრამებთან.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია/პროცედურა. ამ დოკუმენტის შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით, ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში ან სხვა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით/მისი ჩართულობით.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სასწავლო გარემოში. პრაქტიკის ობიექტს არ საჭიროებს. დაწესებულებას თვიშეფასების დროს ხარვეზულად ჰქონდა მითითებული კოოპერაციული, შესაბამისად გაიცა გნავიტარებელი რეკომენდაცია, დოკუმენტაციასთან მუშაობის პერიოდში მეტად გამახვილდეს ყურადღება ტექნიკურ უზუსტობებზე.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო გარემოში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, რადგან სკოლას დამტკიცებული აქვს კომპიუტერულ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემო არ საჭიროებს შრომის უსაფრთხოების იმგვარ სპეციფიკურ ნორმებს, რომლებიც არსებითად განსხვავდება საოფისე საქმიანობისთვის დამახასიათებელი მოთხოვნებისგან. მიუხედავად ამისა, დაწესებულებას აქვს შემუშავებული გარემოში ქცევის ზოგადი წესები, რომლებიც გათვლილია უსაფრთხო, ორგანიზებულ და დისციპლინირებულ სასწავლო გარემოზე. აღნიშნული წესები მკაფიოდ გამოკრულია საგანმანათლებლო სივრცეებში და პროფესიული სტუდენტები მათთან ეცნობიან სწავლის დაწყების პირველივე ეტაპზე. დამატებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სპეციალური ინსტრუქცია ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესებები. აღნიშნული წესები ინტეგრირებულია ზოგადი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ მიზნებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ლაბორატორიული გარემოს უსაფრთხო გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები;
- სკოლის დირექტორის 11 ივნისის N2-153 ბრძანებით დამტკიცებული ინტეგრირებული მოდულების შეფასების წესი
- სასწავლო ცხრილები;
- პროფესიული პროგრამის განხორციელების სასწავლო გეგმა;
- კომპიუტერულ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების განხორციელების დებულებაში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები. კერძოდ შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი. მარეგულირებელი

წესი მოიცავს შეფასების სისტემას - შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურას, შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, აპელაციის წესი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. ასევე, სკოლას ცალკე აქვს დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი.

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულება, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს. დებულების მიხედვით, შეფასების პროცესის სანდოობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულება ახორციელებს როგორც შეფასების ინსტრუმენტების, ისე შეფასების პროცესისა და დამადასტურებელი მტკიცებულებების გადამოწმებას. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, საჭიროების შემთხვევაში - მოწვეული დარგის სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვა კომპეტენტური სუბიექტები. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირების განსაზღვრა ხორციელდება დირექტორის სამართლებრივი აქტით. დებულებაში ასევე გაწერილია რისკების მართვის მექანიზმები, რაც უწყობს ხელს ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზებულად, მიზნობრივად და ეფექტიანად განხორციელებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის უწყვეტ გაუმჯობესებას და პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლებას.

ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესში გაწერილია აქვს შეფასების მტკიცებულებების შენახვის და შემდგომ განადგურები მექანიზმი. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებების უწყისი გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში ინახება დაწესებულებაში, ამის შემდგომ შესაძლებელია მოხდეს მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით ან დარჩეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის ან გადაეცეს ავტორს. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც იწარმოება/შეივსება ელექტრონული სახით.

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

სკოლა, განმსაზღვრელი შეფასების გარდა, სწავლა-სწავლების პროცესში იყენებს განმავითარებელ შეფასებასაც, რომელიც მიზანმიმართულად მიმართულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური პროგრესის მონიტორინგზე, მათი უნარების გაღრმავებასა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. შეფასების შედეგების ანალიზი საშუალებას იძლევა, საფუძვლიანად აისახოს როგორც სტუდენტთა მიღწევები, ისე გამოვლენილი სუსტი მხარეები. ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემისა და საგანმანათლებლო პროცესის სხვა კომპონენტების გაუმჯობესების ინიციატივების ინიცირება. გარდა ამისა, კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიკაციის შემთხვევაში, იდგინება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების აუცილებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ პერსონალიზაციას და პროფესიულ სტუდენტთა თანმიმდევრულ განვითარებას.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება";
- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი;
- როფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....

დასკვნას თან ერთვის

- დაწესებულების მიერ 2025 წლის 2 ივნისს სსიპ ქალაქ ჭიათურის №4 საჯარო სკოლასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი- დანართი N1
- დაწესებულების მიერ 11 აპრილს ს.ს.ი.პ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში გაგზავნილი წერილი (მოხსენება) N403418- დანართი N2;
- ს.ს.ი.პ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ საპასუხოდ გამოზავნილი წერილი (N643621)- დანართი N3:

თარიღი
23.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: